

ესტრადიოლი

ესტრადიოლი წარმოადგენს ესტროგენის ყველაზე მნიშვნელოვან ფორმას ორგანიზმში. ძირითადად, იგი სინთეზირდება საკვერცხეებში, თირკმელზედა ჯირკვალსა და პლაცენტაში. ესტრადიოლი ასტიმულირებს საშვილოსნოს, ფალოპის მილებისა და საშოს ზრდას. ესტრადიოლი აგრეთვე ხელს უწყობს მკერდისა და გარეთა სასქესო ორგანოების განვითარებას. ქალებში ესტრადიოლი მონაწილეობს სხეულზე ცხიმოვანი ქსოვილის გადანაწილებაში.

რატომ კეთდება ესტრადიოლის ტესტი?

ტესტი გამოიყენება პაციენტების მდგომარეობის მონიტორინგისათვის ჰიპოფიზის ჰორმონების ნაკლებობისა და ზოგიერთი ჩასახვის ხელშემწყობი საშუალებების გამოყენების დროს.

როგორ მოვემზადოთ ანალიზისთვის და რა არის საჭირო ანალიზის გასაკეთებლად?

საჭიროა ვენიდან სისხლის აღება. ზოგიერთი მედიკამენტი, როგორებიცაა ესტროგენი და ჩასახვის საწინააღმდეგო აბები, ტესტის შედეგზე მოქმედებს და გვამღევეს არასწორ პასუხს.

რას ნიშნავს მომატებული ესტრადიოლი?

შეიძლება მიუთითებდეს საკვერცხის სიმსივნურ დაავადებაზე.

რას ნიშნავს დაბალი ესტრადიოლი?

გამომწვევი ფაქტორი შეიძლება იყოს:

- თერნერის სინდრომი
- საკვერცხის უკმარისობა
- ესტროგენის ნაკლებობა, გამოწვეული წონაში სწრაფი კლებით და შემცირებული ცხიმოვანი ქსოვილით

კიდევ რა დასახელებით შეიძლება შეგვხვდეს?